



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და  
განვითარების დებულება, დანართი №01

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და  
განვითარების მეთოდოლოგია

ნდ №2-030101-01/01

ბათუმი

2023



**მუხლი 1. უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ**

1. წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - წესი) აღწერს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) დაგეგმვასთან, შემუშავებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს. წინამდებარე წესის მიზანია ბნსუ-ში პროგრამების დაგეგმვასთან, შემუშავებასა და განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების მოწესრიგება, ერთიან სისტემაში მეთოდოლოგიური და საორგანიზაციო საკითხების გაერთიანება და ბნსუ-ში პროგრამების დაგეგმვასთან, განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზების უზრუნველყოფა;

2. წინამდებარე დოკუმენტის საფუძვლებია უმადლესი განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა და სტანდარტები, ასევე, საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process).

**მუხლი 2. უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის შემუშავება, მოდიფიცირება, გაუქმება**

**1. უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამა**

1. ბნსუ-ს უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ბნსუ-ს მისიას, სტრატეგიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, ითვალისწინებს დარგში არსებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე;
2. უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმადლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი ნიშნულების (სასწავლო კურსი, მოდული, სხვ.) ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის კომპონენტები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა, პროგრამის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<sup>1</sup>;
3. უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამა<sup>2</sup> (შემდგომში - პროგრამა) არის პროგრამის კომპონენტების (ანუ სასწავლო კურსები, მოდულები, სხვ.) დამტკიცებული ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია სპეციფიკური აკადემიური ხარისხის<sup>3</sup> მისაღებად. იგი განისაზღვრება კომპეტენციებით აღწერილი სწავლის შედეგებითა და მისანიჭებელი კრედიტებით. პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ზოგადი, ე.წ. ტრანსფერული უნარების შექმნაზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი, ერთგვარი ბლოკების – ანუ სასწავლო კურსებისა და მოდულებისგან შემდგარი მთლიანობა. საგანმანათლებლო პროგრამა შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და მასში ძირითადი აქცენტი მისანიჭებელ აკადემიური ხარისხზე და კვალიფიკაციაზე<sup>4</sup> კეთდება;
4. პროგრამის შემუშავებაში/მოდიფიცირებაში მონაწილეობენ: შიდა დაინტერესებული მხარეები (პროგრამის განმახორციელებლები და სტუდენტები) და გარე დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, დარგის სპეციალისტები/პროფესიული ორგანიზაციები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვ.). თითოეულ მხარეს აქვს თავისი ადგილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა გზით უნდა იქნეს მიღწეული ისინი;
5. პროგრამის პროფილი დარგის იდენტიფიცირებულ საჭიროებებს უნდა დაეფუძნოს. თითოეული პროგრამის პროფილი დაფუძნებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების დასკვნებზე და გადაწყვეტილებებზე. პროგრამის შემუშავებისას/მოდიფიცირებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომლებიც მნიშვნელოვანია შესაბამისი დარგობრივი სფეროსთვის და ქმნიან პროგრამის პროფილს;
6. პროგრამის თითოეული ინდივიდუალური სავალდებულო ერთეულების<sup>5</sup> (პროგრამის კომპონენტების) სწავლის შედეგები ქმნიან პროგრამის მთლიან სწავლის შედეგებს. თუნინგის მეთოდოლოგიის ხედვით, ერთმანეთთან გაურკვევლად/არალოგიკურად დაკავშირებული პროგრამის კომპონენტები ჯამში არ წარმოადგენენ ერთიან პროგრამას;
7. მისაღწევ კომპეტენციებზე ორიენტირებულ და კარგად დაგეგმილ პროგრამაში ყველა კომპონენტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მათი შედეგები ავსებენ ერთმანეთს, ავითარებენ სტუდენტის კომპეტენციების დონეს და ერთობლივად ქმნიან პროგრამის მთლიან დაგეგმილ შედეგებს - კურსდამთავრებულის კომპეტენციებს. ანუ პროგრამა არის ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შედგენილი მთლიანობა, სადაც თითოეულ კომპონენტს აქვს თავისი მნიშვნელობა და შესაბამისი წილი (კრედიტებში). ეს ეხება არა მარტო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებს, რომლებიც შეადგენენ პროგრამის ძირითად ბირთვს, არამედ არჩევით კომპონენტებსაც, რომლებმაც კარგად დაგეგმილ პროგრამაში უზრუნველყოფენ სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირების შესაძლებლობას და აძლიერებენ კურსდამთავრებულის კომპეტენციებს;
8. პროგრამის კურიკულუმი ასახავს პროგრამის განმახორციელებლების და დაინტერესებული მხარეების ერთიან ხედვას პროგრამის შესახებ;
9. კურიკულუმის მეშვეობით უნდა იყოს შესაძლებელი ინფორმაციის მიღება პროგრამის შინაარსის და თავისებურებების შესახებ.

**2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების, დამტკიცების, გაუქმების პროცესი და გადაწყვეტილებები**

1. ბნსუ-ში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში - პროგრამას), მასში ცვლილებებს (წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში), პროგრამის გაუქმების საკითხს ამტკიცებს აკადემიური საბჭო;
2. პროგრამის შემუშავების და მოდიფიცირების შემთხვევაში სავალდებულო პირობაა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

<sup>1</sup> წყარო: უმადლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მ.2, პ. 3.<sup>3</sup>  
<sup>2</sup> შინაშენი: ამ მუხლის 2-6 პუნქტების შემთხვევაში წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process).  
<sup>3</sup> აკადემიური ხარისხი - საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ უსდ-ს მიერ მინიჭებული ფორმალური კვალიფიკაცია. ECTS-ში პროგრამა დასრულებულია სწავლის შედეგების გარკვეული ნაერხისათვის კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვების შედეგად (წყარო: თუნინგის ტერმინების ლექსიკონი).  
<sup>4</sup> კვალიფიკაცია - ნებისმიერი ხარისხი, დიპლომი ან სხვ., გაემართა კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელიც ადასტურებს აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებას (წყარო: თუნინგის ტერმინების ლექსიკონი).  
<sup>5</sup> კურსის ერთეული - სწავლების დამოუკიდებელი, ფორმალურად სტრუქტურირებული სასწავლო გამოცდილება. მას უნდა ჰქონდეს ურთიერთდაკავშირებული, დეტალური და კომპეტენციების სახით აღწერილი სწავლის შედეგები და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. კურსის ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ კრედიტების განსხვავებული რაოდენობა, თუმცა რეკომენდებულია, რომ ერთეულებს ჰქონდეთ ერთნაირი ან ორჯერადი კრედიტები (წყარო: თუნინგის ტერმინების ლექსიკონი). დამატებითი განმარტება კურსის ერთეულებში მოიაზრება პროგრამის კომპონენტები (სასწავლო კურსები, პრაქტიკა, ნაშრომი და ა.შ.).

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	2-20



- მოთხოვნების, საერთაშორისო სტანდარტების (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში) და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესრულება. გასათვალისწინებელია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, ბნსუ-ში მოქმედი წესები და წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი მიდგომები;
3. პროგრამის შემუშავებას, განახორციელებას, შეფასებას, განავითარებას, პროგრამის მოდიფიცირებას (ცვლილებების შეტანას) უზრუნველყოფს ფაკულტეტი. პროგრამას და მასში ცვლილებებს შეიმუშავებს ბნსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი - შესაბამისი დარგის სპეციალისტები;
  4. პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და მოდიფიცირების პროცესის ადმინისტრაციულ, საორგანიზაციო, საინფორმაციო და სხვ. მხარდაჭერას უზრუნველყოფს ფაკულტეტის დეკანი, რომელიც პერიოდულ კონტროლს უწევს პროცესის მიმდინარეობას. ამ პროცესში კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
  5. პროგრამის შემუშავების, შეფასების და მოდიფიცირების პროცესში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები, მათ შორის პროგრამის სტუდენტები/მაგისტრანტები (შემდგომში - სტუდენტები), შესაბამისი პროგრამის კურსდამთავრებულები და განმახორციელებები, ბნსუ-ს პარტნიორები - პოტენციური დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები. ამ პროცესში შეიძლება იყვნენ ჩართულნი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (შემდგომში - უსდ), დარგობრივი და/ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და/ან სხვა, ბნსუ-სა და მათ შორის დადებული ხელშეკრულების/მემორანდუმის საფუძველზე ან მათ მიერ გამოთქმული ამ პროცესში ჩართულობის სურვილის შემთხვევაში. მხედველობაში მიიღება ყველა დაინტერესებული მხარის და პროცესში ჩართულ პირთა მოსაზრებები, რაც დგინდება გამოკითხვების და/ან გასაუბრების და/ან მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ანალიზის გზით. მხედველობაში მიიღება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები და პროგრამის შეფასებით (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში) მიღებული შედეგები, წინამდებარე დოკუმენტის დებულებები და სხვ.;
  6. პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების მიზნით ფაკულტეტზე იქმნება დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობას უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი, ახალი პროგრამის შემუშავების შემთხვევაში - აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული პირი, რომელიც ამ ეტაპზე ასრულებს პროგრამის ხელმძღვანელის ხელმძღვანელის ფუნქციას (პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უფლება-მოსილებები და სხვ. რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციით);
  7. პროგრამის საბოლოო პროექტის მომზადების შემდეგ ტარდება პროგრამის შიდა შეფასება (განხილვა), რაც გულისხმობს პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის, თეორიული, პრაქტიკული, მეთოდური, რესურსებით უზრუნველყოფის და სხვა ასპექტების შესწავლას და საქართველოს კანონმდებლობასთან და ბნსუ-ში მოქმედ მარეგულირებელ წესებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენას. პროგრამის შიდა შეფასებას ახორციელებენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები. ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის გარე ექსპერტიზა საქართველოს ან უცხო ქვეყნის დარგის სპეციალისტების ან პარტნიორი დაწესებულებების - პოტენციური დამსაქმებლების და/ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომლის წარმომადგენლებიც არ მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში და განხორციელებაში (საექსპერტო დასკვნისათვის ეგზავნებათ პროგრამის პროექტის სრული ვერსია);
  8. პროგრამის პროექტი ფაკულტეტის დეკანის მიერ გადაეცემა ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს კანონმდებლობასთან, მოქმედ სტანდარტებთან და ბნსუ-ს წესებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
  9. ფაკულტეტის დეკანი პროგრამის პროექტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას და საექსპერტო დასკვნას (არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის საბჭოს;
  10. ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელთა ერთად, განიხილავს პროგრამის პროექტს და დასკვნებს. დადებითად შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამის პროექტი გადაეცემა აკადემიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად;
  11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარვეზების დაფიქსირებისა ან საექსპერტო დასკვნაში შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს შენიშვნების გათვალისწინების საჭიროებას: გათვალისწინების შემთხვევაში ხდება შესაბამისი ცვლილებების შეტანა ან გათვალისწინების გარეშე, წერილობითი დასაბუთებით, აკადემიური საბჭოსთვის პროგრამის პროექტის გადაცემა;
  12. ფაკულტეტის საბჭოს და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განსხვავებული ხედვის შემთხვევაში აკადემიური საბჭო შეისწავლის ორივე მხარის არგუმენტებს;
  13. აკადემიური საბჭო განიხილავს პროგრამის პროექტს, ფაკულტეტის საბჭოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას და საექსპერტო დასკვნას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროგრამის პროექტთან დაკავშირებით აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას:
    - პროგრამის დამტკიცების შესახებ - თუ პროგრამა პასუხობს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში), ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებს, ბნსუ-ს მისიას, სტრატეგიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, ითვალისწინებს დარგში არსებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, არსებობს ან პროგრამის ამოქმედების მომენტისთვის იარსებებს (აუცილებელია შესაბამისი დასაბუთება) პროგრამის შესაბამისი მატერიალური, ადამიანური, ფინანსური რესურსები და სხვ.;
    - პროგრამის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ - თუ საბჭომ გაიზიარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის/საექსპერტო დასკვნის შენიშვნები, თუ პროგრამა სრულად არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში), ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებს, ბნსუ-ს მისიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, დარგში არსებულ მოთხოვნებს და სიახლეებს, ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, ამოქმედების მომენტისთვის პროგრამა ვერ იქნება სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსებით (არ არსებობს შესაბამისი დასაბუთება ან დასაბუთება არ არის რეგვიანტური/შესრულებადი) და სხვ.;
  14. აკადემიური საბჭოს მიერ:
    - დამტკიცებას საჭიროებს: ა) მოქმედი პროგრამის დასახელების, მისიანიჭებელი კვალიფიკაციის, მიზნების, შედეგების ცვლილება

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	3-20

(დასაშვებია თუ ეს უკავშირდება საქართველოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანას), პროგრამის სტრუქტურის შეცვლა (მაგ., დამატებითი პროგრამის/კონცენტრაციის დამატება, მოღვა, ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტის მოცულობის შემცირება და/ან სხვ.), პროგრამის კომპონენტების დამატება/ამოღება, კრედიტების, სწავლების ენის ან სხვ. ცვლილება. საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, თუ რა მიხედვით პროგრამის არსებით ცვლილებად. ასეთი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში აკადემიური საბჭოს მიერ ცვლილებების დამტკიცებიდან არაუმეტეს 30 დღეში ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს);

- დამტკიცებას არ საჭიროებს ცვლილებები, რომელიც არ მიეკუთვნება წინა პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებს, მაგ.: პროგრამის კურსკულუმში ტექნიკური ხარვეზების/უზუსტობების გასწორება, არსებული ინფორმაციის დაზუსტება/განახლება, რომელიც არ იწვევს ინფორმაციის არსის შეცვლას; ადამიანური/მატერიალური რესურსის შეცვლა, თუ ცვლილება რელევანტურია, მიმართულია არსებული რესურსის გაუმჯობესებაზე; პროგრამის კომპონენტ(ებ)ის სილაბუს(ებ)ში ცვლილებები, რომელიც არ იწვევს პროგრამის კომპონენტის მიზნების და შედეგების შეცვლას (მაგ., ტექნიკური ხარვეზების/უზუსტობების გასწორება, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობის, შესასწავლი საკითხების და/ან ლიტერატურის განახლება, შეფასების კომპონენტების/მეთოდების/კრიტერიუმების რელევანტური შეცვლა და სხვ.) და სხვ. ასეთ ცვლილებებს შეისწავლის ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას და პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებას განიხილავს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ცვლილებები შედის ძალაში.

15. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს წინადადება ახალი პროგრამის შემუშავების, არსებული პროგრამის მოდიფიცირების ან გაუქმების შესახებ, ხოლო აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის შემუშავების, პროგრამის მოდიფიცირების, გაუქმების/გაუქმებაზე უარის თქმის, დამტკიცების/დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ;

16. ახალი პროგრამის შემუშავების მიზანია ბნსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებებში, რაც განისაზღვრება ბნსუ-ს განვითარების სტრატეგიით და პრიორიტეტებით. კონკრეტულ მიმართულებაში პროგრამის შემუშავების რეკომენდაციას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, პროგრამის შემუშავების რეკომენდაცია მიიღება, თუ დასტურდება ბნსუ-ს მისიასთან, სტრატეგიასა და პრიორიტეტულ მიმართულებებთან შესაბამისობა, არსებობს პარტნიორი უსდ-ების, არსებობს დარგობრივი ორგანიზაციების და/ან დარგის სპეციალისტების რეკომენდაციები, შესაძლებელია ბნსუ-ს მიერ პროგრამის ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა და პროგრამის განვითარება და სხვ.;

17. პროგრამის მოდიფიცირების მიზანია საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის, დარგში არსებულ ტენდენციების გათვალისწინება, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. მოდიფიცირების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, პარტნიორი უსდ-ების რეკომენდაცია/მოთხოვნა (ერთობლივი/გაცვლითი პროგრამების შემთხვევაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის განმახორციელებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, დარგის სპეციალისტების მოსაზრებები/რეკომენდაციები, შრომის და განათლების ბაზრის, მეცნიერებისა და პრაქტიკის ინოვაციების გათვალისწინების საჭიროება ან/და სხვ.;

18. პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს ბნსუ-ს მისიასთან და/ან საგანმანათლებლო პრიორიტეტებთან შეუსაბამობა (მისიაში და/ან პრიორიტეტებში შესული ცვლილებების გამო), პროგრამის მოდიფიცირებით საქართველოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან მოყვანის შეუძლებლობა, პროგრამის არარენტაბელურობა (მაგ., რამდენიმე წლის განმავლობაში სტუდენტთა კონტინენტის მნიშვნელოვანი კლება/არარსებობა) ან/და სხვ.

**მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის აგების ალგორითმი**

- პროგრამის შემუშავების საჭიროების შესწავლა და დადასტურება - ბნსუ-ს მისიასთან და პრიორიტეტებთან პროგრამის შესაბამისობა, პროგრამაზე „სოციალური საჭიროების“ არსებობა (შრომის და საგანმანათლებლო ბაზრის შესწავლა);
- პროგრამის პროფილის, სფეროს, უმაღლესი განათლების საფეხურის, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის და კვალიფიკაციის პროგრამის მოცულობის ECTS-ის კრედიტებში, პროგრამის რესურსების და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრა;
- პროგრამის მიზნების ფორმულირება და შედეგების აღწერა კომპეტენციების ჭრილში - უნივერსალური (ზოგადი) და პროფესიული (სპეციალური) კომპეტენციების განსაზღვრა, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის ათვისების შედეგად;
- პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის ფორმირება და აღწერა (მათ შორის, პროგრამის კომპონენტები, მათი შინაარსი და მოცულობა ECTS-ის კრედიტებში);
- პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის შემოწმება;
- დაგეგმილი შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (მათ შორის, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა, დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლი-შეფასება) განსაზღვრა;
- პროგრამის შეფასების, განხორციელების უზრუნველყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების სისტემის შექმნა.

**მუხლი 4. კურსკულუმის დაგეგმვის მოდელი - თუნინგის მიდგომები**

1. საბაზო პირობების დაკმაყოფილება -

- ყველა პროგრამისთვის:
  - რეგიონულ/ეროვნულ/ევროპულ დონეზე პროგრამის სოციალური საჭიროების განსაზღვრა, რაც ხდება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით;
  - პროგრამის აქტუალობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინება, ათვისების წერტილების იდენტიფიცირება;
  - პროგრამისთვის აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობა ბნსუ-ში, საჭიროების შემთხვევაში - მის ფარგლებს გარეთ (მოთხოვნა პარტნიორი-დაწესებულების რესურსები);
  - სამართლებრივი გარანტიების არსებობა, რომ პროგრამა სამართლებრივად იქნება აღიარებული;
- საერთაშორისო ერთობლივი პროგრამების შემთხვევაში ასევე:

<sup>6</sup> წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process).

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	4-20

- პარტნიორი დაწესებულებებს შორის ვალდებულების არსებობა, მისი საფუძველი;
  - სამართლებრივი გარანტიების არსებობა, რომ პროგრამა სამართლებრივად იქნება აღიარებული პარტნიორი დაწესებულებების ქვეყნებში;
  - შეთანხმების არსებობა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც დაგეგმილია სტუდენტის დატვირთვაზე დაფუძნებული ECTS-ს კრედიტების შესაბამისად.
2. აკადემიური ხარისხის პროფილის<sup>7</sup> განსაზღვრა - პროგრამის ან კვალიფიკაციის თავისებურებების აღწერა, რომელიც იძლევა პროგრამის სპეციფიკურ მიზნებზე დაფუძნებულ ძირითად მიმართულებებს, ადგენს როგორ შეესაბამება იგი პროგრამის კომპონენტების აკადემიურ რუკას და კავშირს დასაქმების სფეროსთან;
  3. პროგრამის მიზნებისა, ასევე სწავლის შედეგების (ცოდნის, გაცნობიერების, უნარების და შესაძლებლობების თვალსაზრისით) აღწერა, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნეს;
  4. პროგრამით მისაღწევი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების იდენტიფიცირება;
  5. პროგრამის ათვისებისთვის აუცილებელი კომპეტენციების წინასწარი იდენტიფიცირება (პროგრამის წინაპირობების განსაზღვრა);
  6. პროგრამის სტრუქტურის ფორმირება (პროგრამის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი კომპონენტების იდენტიფიცირება.);
  7. პროგრამის კომპონენტების სილაბუსების ჩამოყალიბება (პროგრამის კომპონენტების კრედიტების და დაშვების წინაპირობების დადგენა, კომპონენტების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების, ასევე იმ რესურსების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად);
  8. პროგრამის ხარისხის სისტემატური ამაღლების მიზნით შესაბამისი შეფასების სისტემის განვითარება - თუნინგის მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ პროგრამები შეიძლება და უნდა გაუმჯობესდეს არა მარტო უკუკავშირის, არამედ წინსვლის საფუძველზე და ითვალისწინებდეს განვითარებას როგორც საზოგადოებაში, ასევე შესაბამის აკადემიურ სფეროში.

**მუხლი 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

1. პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და შინაარსის ჩამოყალიბებისას დასადგენია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამის შინაარსი უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, რომლებიც ხელს შეუწყობს წინასწარ მოთხოვნილი ცოდნის გაღრმავებას, ახალი ცოდნითა და უნარებით შევსებას და არა მის გამეორებას.

**მუხლი 6. პროგრამის მიზნები**

1. პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებშიც ასახული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს ბნსუ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე - დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

**მუხლი 7. პროგრამის შინაარსი**

1. პროგრამის შინაარსი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ მონაცემებს:

- ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს;
- შესაბამის დარგობრივ მახასიათებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შრომის და განათლებს ბაზრის კვლევის, ასევე საერთაშორისო გამოცდილების (ანალოგი პროგრამების შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება) შესწავლის შედეგებს;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს;
- კვლევის შედეგებს დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვ.

2. პროგრამის შინაარსში შეტანილი ყველა ცვლილება (ასევე, ახალი პროგრამის ინიცირება) უნდა იყოს დასაბუთებული ზემოთ ჩამოთვლილი ან სხვა მეთოდებით მოპოვებული ემპირიული მონაცემებით;

3. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მიმართული უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ;

4. პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას უნდა ახლდეს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი, რომელი კურსი ან/და პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკა, ერთი მხრივ, ეხმარება პროგრამის შემუშავებელ ჯგუფს პროგრამის შინაარსის ჩამოყალიბებაში და, მეორე მხრივ, ის არის საუკეთესო საშუალება, რათა დავინახოთ, რამდენად არის პროგრამის შინაარსით სწავლის ყველა შედეგი დაფარული.

**მუხლი 8. პროგრამის სწავლის შედეგები**

1. პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. სწავლის შედეგებში, სასურველია, ასახული იყოს ბაზრის მოთხოვნებიც, რომლებიც დაფუძნებული იქნება მაგ., დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზზე;

2. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, სფეროს დამსაქმებლები და ა.შ. კარგი იქნება მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებაც და მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგების გადახედვა/გათვალისწინება;

3. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის შესწავლისას. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები უნდა განსხვავდებოდეს სირთულის მიხედვით;

4. სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური, გაზომვადი (რაც მათ შეფასებას ნიშნავს);


<sup>7</sup> წყარო: თუნინგის ტერმინების ლექსიკონი.

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	5-20

5. პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან ბევრი. ოპტიმალურად მიიჩნევა 8-10-მდე სწავლის შედეგის ჩამოყალიბება;
5. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შევასიდე, რაც საშუალებას მისცემს იმის დასადგენად, რომ პროგრამის დასრულებისას სტუდენტებმა მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს უკანასკნელი იმის მაჩვენებელიც იქნება, რომ პროგრამის მიზნები მიღწეულია, რადგან თითოეული მიზანი შედეგთანაა დაკავშირებული;
6. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება 4 ეტაპისაგან:
  - პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
  - კურიკულუმის ანალიზი, რათა დაგეგმონ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს;
  - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
  - შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**მუხლი 9. სწავლის შედეგები და კომპეტენციები<sup>8</sup>**

1. თუნიჩგი განასხვავებს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს. სწავლის პროცესის სასურველი სწავლის შედეგები ფორმულირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის (პროგრამის განმახორციელებლები) მიერ ამ საქმიანობაში უპირატესად სტუდენტთა წარმომადგენლების ჩართვითა და შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით:
  - სწავლის შედეგები არის განაცხადი სტუდენტების მოლოდინების შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგი მიმართულია პროგრამის კომპონენტზე (ერთეულზე) ან კიდევ სწავლის მთელ პერიოდზე. სწავლის შედეგები განსაზღვრავს მოთხოვნებს კრედიტების მისაღებად. სწავლის შედეგი განისაზღვრება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის კომპონენტების დონეზე;
  - კომპეტენციები<sup>9</sup> არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. კომპეტენციები ყალიბდება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული, სხვ.) მიერ და ფასდება სხვადასხვა ეტაპზე. კომპეტენციები დაკავშირებულია არა ცალკეულ კურსთან, არამედ მთლიანად პროგრამის ათვისების პროცესში ვითარდება.
2. კომპეტენციები უნდა განვითარდეს პროგრესირებადი გზით: მარტივიდან რთულამდე, ზოგადიდან - კონკრეტულამდე:



ეს ნიშნავს, რომ კომპეტენციების ფორმირება ხდება პროგრამის შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესწავლის შედეგად;

3. კომპეტენციებიდან განასხვავებენ დარგობრივ კომპეტენციებს (დარგის სპეციფიკურ/დარგობრივ კომპეტენციებს უწოდებენ) და ზოგად კომპეტენციებს (ტრანსფერულ უნარებს):
  - **დარგობრივი კომპეტენციები** - დარგთან დაკავშირებული, დარგისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, დარგისთვის სპეციფიკური კომპეტენციებია (თეორიული, პრაქტიკული და/ან ექსპერიმენტული ცოდნა და დარგთან დაკავშირებული უნარები, მათ შორის დისციპლინის სფეროში გამოყენებული მეთოდები, პრაქტიკული მიდგომები და სხვ.). ისინი პროგრამის იდენტურობასა და თანმიმდევრულობას უზრუნველყოფენ;
  - **ზოგადი კომპეტენციები (ტრანსფერული უნარები)** - კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ განიხილება როგორც მნიშვნელოვანი დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. თუნიჩგი განასხვავებს ზოგადი კომპეტენციების 3 ტიპს:
    - 1) **ინსტრუმენტული კომპეტენციები:** კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური და ლინგვისტური უნარები. ინსტრუმენტულ კომპეტენციებს გააჩნიათ ინსტრუმენტული ფუნქცია, რომელიც მოიცავს: ა) შექმნებით უნარებს, იდეებისა და აზრების განვითარებასა და მანიპულირების შესაძლებლობას; ბ) მეთოდოლოგიურ შესაძლებლობებს გარემოში მანიპულირებისათვის (სწავლის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება, გადაწყვეტილების მიღება ან პრობლემის გადაჭრა); გ) ტექნოლოგიურ უნარებს (ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენება, კომპიუტერზე მუშაობა და ინფორმაციის მართვის უნარი); დ) ლინგვისტურ უნარებს (ზეპირი და წერილი კომუნიკაცია, მეორე ენის ცოდნა). ასევე, ინსტრუმენტულ კომპეტენციებს მიეკუთვნება, მაგ.: ანალიზის და სინთეზის უნარი; ორგანიზების და დაგეგმვის უნარი, საბაზო ზოგადი ცოდნა, პროფესიის/სფეროს საფუძვლიანი ცოდნა, მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი, მეორე ენის ცოდნა, კომპიუტერზე მუშაობის უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი (სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარი), პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება;
    - 2) **ინტერპერსონალური კომპეტენციები:** სოციალური უნარების მსგავსი ინდივიდუალური უნარები (სოციალური ინტეგრაცია და კოოპერაცია). მათ რიცხვს მიეკუთვნება ა) ინდივიდუალური უნარები, რომლებიც დაკავშირებულია გრძნობების/დამოკიდებულებების გამოხატვასთან, კრიტიკულ და თვითკრიტიკულ შესაძლებლობებთან; ბ) სოციალური უნარები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან, ჯგუფურ მუშაობასთან, სოციალურ და ეთიკური პასუხისმგებლობების გამოხატვასთან, სხვა სფეროს ექსპერტებთან კომუნიკაციის უნართან. ეს კომპეტენციები ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციისა და კოოპერაციის პროცესს. ინტერპერსონალურ კომპეტენციებს მიეკუთვნება მაგ.:

<sup>8</sup> წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process).

<sup>9</sup> კომპეტენცია - კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარების, ცოდნისა და გაცნობიერების, პიროვნებათშორისი, ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარებისა და ეთიკური ღირებულებების დინამიური კომბინაცია. კომპეტენციების გამოუმუშავება ყველა პროგრამის მიზანია. კომპეტენციები ყალიბდება ყველა კურსის ერთეულის/მოდულის ფარგლებში და სხვადასხვა ეტაპზე ფასდება კომპეტენციები იყოფა დარგთან დაკავშირებულ (დარგისთვის სპეციფიკურ) და ზოგად კომპეტენციებად (რომლებიც საერთოა ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის). ჩვეულებრივად კომპეტენციები ვითარდება ინტეგრირებულად და ციკლურად მთელი პროგრამის განმავლობაში (წყარო: თუნიჩგის ტერმინების ლექსიკონი).

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	6-20

კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი, ჯგუფში მუშაობა, ინტერპერსონალური უნარები, ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი, მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა, საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი, ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება;

3) **სისტემური კომპეტენციები:** მთელ სისტემასთან დაკავშირებული უნარები და შესაძლებლობები (გაცნობიერების, დამოკიდებულებისა და ცოდნის კომბინაცია, აუცილებელია ინსტრუმენტული და ინტერპერსონალური კომპეტენციების წინასწარი ფორმირება). წარმოადგენს გაცნობიერების, მეგრძნებებისა და ცოდნის კომბინაციას, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ როგორ ურთიერთობენ ერთნაშთთან მთელის ნაწილები და ქმნიან მთლიანობას. მოიცავს ცვლილებების დაგეგმვის უნარს მთელი სისტემის გასაუმჯობესებლად და ახალი სისტემის შემუშავებას. სისტემური კომპეტენციების განვითარების წინაპირობაა ინსტრუმენტული და ინტერპერსონალური კომპეტენციები. სისტემურ კომპეტენციებს მიეკუთვნება მაგ.: ცოდნის პარაქტიკაში გამოყენების უნარი, კვლევის უნარი, სწავლის უნარი, ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარი, ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა), ლიდერობა, სხვა ქვეყნების კულტურებისა და ტრადიციების პატივისცემა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, პროექტის შემუშავება და მართვა, ინიციატივა, კრეატიულობა და საქმიანი წამოწყების უნარი, ხარისხზე ზრუნვა, სწრაფვა წარმატებისკენ.

ზოგადი კომპეტენციების განვითარების 2 ძირითადი გზა არსებობს: 1) პროგრამის ფარგლებში ცალკეული კურსების/მოდულების შეთავაზება, რომელთა ფარგლებშიც ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება ხდება (მაგ., აკადემიური წერის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და/ან სხვ. კურსები); 2) ზოგადი კომპეტენციები ინტეგრირებულია დარგობრივ კურსებში/მოდულებში. დადგინდა, რომ აბსოლუტურად შესაძლებელია ზოგადი კომპეტენციების მიღწევა დარგობრივი კურსების/მოდულების ფარგლებში თუ ლექტორს გაცნობიერებული აქვს ამის საჭიროება და სწავლების ისეთ სტრატეგიას იყენებს, რომელიც ზოგად კომპეტენციებს ითვასწინებს.

4. შეიძლება არსებობდეს კომპეტენციები, რომელთა ფორმირება არ არის აშკარა. აქედან გამომდინარე, სწავლის შედეგებში დეტალურად უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა მიღწევის შეფასება არის ფაქტურად შესაძლებელი;

5. კომპეტენციები ვითარდება ინტეგრირებულად და ციკლურად პროგრამის განმავლობაში. თუნინგში კომპეტენციები მიჩნეულია კურიკულუმის (პროგრამის) დაგეგმვის და შეფასების ათვლის წერტილებად;

6. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული, სხვ.) სწავლის შედეგებში 6-8 კომპეტენციაზე მეტის ჩართვა მიზანშეწონილი არ არის. ყურადღება უნდა მიექცეს შეუსაბამო სწავლის შედეგების (მაგ., საკითხის ზედმეტად დეტალიზება) თავიდან აცილების საკითხს. ქვემოთ მოცემული სქემა ასახავს პროგრამის კომპონენტებს (სასწავლო კურსი, მოდული, სხვ.) შორის კომპეტენციების გადანაწილების შესაძლო მიდგომას:

პროგრამის კომპონენტები	შედეგები							
	1	2	3	4	5	6	7	8
კომპონენტი #1		X			X			
კომპონენტი #n	X				X	X		

შენიშვნა: X - ეს კომპეტენციები ფორმირებული, შეფასებული, მოხსენიებულია პროგრამის ამ კომპონენტის სწავლის შედეგებში

ზემოთ მოცემული სქემა შეიძლება იყოს მოდიფიცირებული პროგრამის კომპონენტების და შედეგების ურთიერთშესაბამისობის პრინციპის ილუსტრირების პირობით.

7. სწავლის შედეგების/კომპეტენციის განსაზღვრაზე პასუხისმგებელია პროგრამის პერსონალი - მხოლოდ დარგის სპეციალისტს შეუძლია დარგისთვის საჭირო სწავლის შედეგების ფორმულირება. თუმცა, ასევე, საჭიროა კონსულტაციების გავლა ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

**მუხლი 10. კურიკულუმის ანალიზი. სამიზნე ნიშნულები. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად**

1. **კურიკულუმის ანალიზი** - პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრის შემდეგ უნდა აიგოს კურიკულუმი (არსებული პროგრამის შემთხვევაში უნდა მოხდეს კურიკულუმის გადახედვა), რათა დაგრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგებს. ამისათვის საუკეთესო გზაა კურიკულუმის რუკის შედგენა. ეს უკანასკნელი ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეოდეს შემდეგს:

- რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა;
- ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით;
- ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს;
- ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს.

2. **სწავლის შედეგების შეფასება (პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები)** - უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შევაფასოთ. თუ სამაგისტრო პროგრამებში ფასდება, კარგი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს სამაგისტრო ნაშრომებში. უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით:

- პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა, საველე გამოცდილებისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ.;
- შეფასების არაპირდაპირი მეთოდია სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ აგვერიოს სტუდენტის მიერ კურსის შეფასებას ან კმაყოფილების კვლევის შედეგებში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება დამსაქმებლებთანაც.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს: რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე, შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. საუკეთესო პრაქტიკადაა მიჩნეული დავალების შესაფასებლად რუბრიკ(ებ)ის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და ავასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე.

**3. სამიზნე ნიშნულები** - პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს: მაგ., სტუდენტების 60% მიიღებს 15 დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველ სწავლის შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებთ ესეს მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაც 20 ქულაა). იმისათვის, რომ დადგინდეს სამიზნე ნიშნულები, ჯერ მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ როგორ შეფასდება სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგების შესაფასებლად სამიზნე ნიშნულად დამოყენებულია ე.წ. ნორმალური განაწილება (გაუსის განაწილება): A (ფრიადი)-10%; B ( ძალიან კარგი)-25%; C (კარგი)-30%; D (დამაკმაყოფილებელი)-25%; E (საკმარისი)-10% მომდევნო წლის სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება წინა წელს მიღებულ (მიღწეულ) მაჩვენებლებზე დაყრდნობით მათი გაუმჯობესების მიმართულებით. დაგეგმილ სამიზნე ნიშნულებთან შედარება-ანალიზი - დაგეგმილი შედეგები მიღწეულად ჩაითვლება დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიღწევის შემთხვევაში, სამიზნე ნიშნულების დასაშვები ცდომილება - 20%, მეტი ცდომილების შემთხვევაში ხდება პრობლემის იდენტიფიცირება - პროგრამის შესაბამისი კომპონენტის შინაარსის, დაშვების წინაპირობების, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების, კრედიტების რაოდენობის, სხვ. გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში - ცვლილებების შეტანა.

**4. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად** - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანია ეტაპი, როდესაც მიღებული შედეგები განალიზდება და ამის საფუძველზე პროგრამა უმჯობესდება. ამ ატაპზე ხდება:

- შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და იმის ანალიზი, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც ვვარაუდობდით;
- განსაზღვრა, ხომ არ არის ერთ ან მეტი სწავლის შედეგი, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან ვერ აღწევს. ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების გადახედვა, რომელშიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოითხოვს პროგრამის ხელმძღვანელებს (არსებობის შემთხვევაში), აკადემიური, მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის მჭიდრო თანამშრომლობასა და ჩართულობას. იმისათვის, რომ შეიქმნას კურიკულუმის რუკა, განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და განალიზდეს შეფასების შედეგები, უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩართულობა აუცილებელია. მნიშვნელოვანია აგრეთვე სტუდენტებთან უკუკავშირი, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ. თუმცა, სტუდენტის შეფასებისგან განსხვავებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველადი დანიშნულებაა პროგრამის შეფასება და მისი გაუმჯობესება. შეფასების შედეგად შეიძლება:

- განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში;
- დამატოს ან ამოღებულ იქნეს სასწავლო კურს(ებ)ი/პროგრამის კომპონენტები (გარდა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა);
- ცვლილებები შევიდეს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში;
- ცვლილებები შევიდეს პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ.
- განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.

**მუხლი 11. ECTS. კრედიტი. სასწავლო დატვირთვა. კრედიტების განაწილება<sup>10</sup>**

1. ECTS – არის სტუდენტზე ორიენტირებული კრედიტების დაგროვების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად საჭირო სტუდენტის დატვირთვაზე (1 ECTS-ის კრედიტი = 25-30 სთ; ბნსუ-ში კრედიტი = 26 სთ). ზოგადად, სტუდენტის დატვირთვა შეადგენს წელიწადში 60 კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტს), თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის ან სტუდენტის ინდივიდუალური პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით წლიური დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტსა<sup>11</sup>;

2. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი სტუდენტის დატვირთვის გასაზომად. სტუდენტის დატვირთვა არის დრო (საათებში), რომელიც უნდა დახარჯოს ტიპიურმა (საშუალო შესაძლებლობების მქონე) სტუდენტმა განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის დატვირთვა და, შესაბამისად

<sup>10</sup> წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process).  
<sup>11</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება (#3,05.01.2006) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ.

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	8-20



- კრედიტი, მოიცავს საკონტაქტო დატვირთვას (სწავლება/სწავლის საქმიანობის 45-60 წთ. პერიოდი, როდესაც ლექტორი ჩართულია უშუალოდ სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის სწავლების პროცესში, გულისხმობს ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, სხვ.) და დამოუკიდებელ საათებს (სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა);
- კრედიტების განაწილება ხდება პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტზე. პროგრამის დასამთავრებლად (კვალიფიკაციის მისაღებად) აუცილებელი კრედიტების საერთო რაოდენობის დაყოფა ხდება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებზე, მათ შორის: პროგრამის სავალდებულო კომპონენტებისთვის განკუთვნილი კრედიტები, პროგრამის არჩევითი<sup>12</sup> სასწავლო კურსისთვის/სხვა კომპონენტებისთვის განკუთვნილი კრედიტები და ა.შ.;
  - პროგრამის კომპონენტის სირთულე ან მნიშვნელობა არ წარმოადგენს საფუძველს კრედიტების გასანაწილებლად. კრედიტი დამოკიდებულია მხოლოდ დროის იმ რაოდენობაზე, რომელიც აუცილებელია საკითხის შესასწავლად და პროგრამის კომპონენტის წარმატებით დასასრულებლად;
  - კრედიტი შეიძლება მიენიჭოს დადგენილი სწავლის შედეგების დადასტურებული მიღწევის ნიშნად;
  - კრედიტის რაოდენობის გათვლები ეფუძნება ტიპიური (საშუალო შესაძლებლობების მქონე) სტუდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში გაწეული სამუშაოს მოცულობის შეფასებას, რაც შეიძლება ნიშნავდეს სწავლის შედეგების შემდგომ დაზუსტებას და იძლეოდეს კურიკულუმში პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის განკუთვნილი დროის (კრედიტების) დაზუსტების საფუძველს.

**მუხლი 12. სასწავლო დატვირთვის გაანგარიშება. დატვირთვის განაწილების შემოწმება**

- სტუდენტს აქვს დროის გარკვეული რაოდენობა, რაც დამოკიდებულია კრედიტების რაოდენობაზე;
- არსებობს კავშირი სტუდენტის მიერ დახარჯულ დროსა და დაგეგმილ შედეგებს შორის;
  - ნებისმიერი ცოდნისა და უნარების შესაძენად აუცილებელია დრო და მომზადების გარკვეული დონე;
  - პროგრამაზე/პროგრამის კომპონენტზე დაშვებისათვის აუცილებელი წინაპირობები (აუცილებელი ცოდნა და უნარები) არის საბაზო ელემენტი, რომელიც მოქმედებს სტუდენტის დატვირთვაზე;
  - სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ფაქტიური დრო დაკავშირებულია სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან, წინა მომზადების დონესა და სწავლის ფორმასთან. საზომად მიღებულია ტიპიური სტუდენტის მიერ დახარჯული დრო - საათების რაოდენობა, რომელიც ამ სტუდენტს სჭირდება დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად.
- პროგრამის კომპონენტში სასწავლო დატვირთვის გაანგარიშებისთვის მნიშვნელოვანია:
  - საკონტაქტო საათების საერთო რაოდენობა (კვირაში საათების რაოდენობა x კვირების რაოდენობა);
  - დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა, რაც დამოკიდებულია სასწავლო კურსის/სხვ. და საკითხის სირთულეზე. დამოუკიდებელი მუშაობა შეიძლება შემდეგი ელემენტებისაგან შედგებოდეს: გამოცდისთვის/გამოკითხვისთვის, სემინარისთვის, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობისთვის და ა.შ. მომზადება, შესაბამისი მასალის შერჩევა და შესწავლა; ნაშრომის დაწერა, პრეზენტაციის მომზადება და სხვ.
  - საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს, და შეფასების ფორმები;
  - სტუდენტთა დატვირთვაზე დაფუძნებული საშუალო დრო (სთ), რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის.
- პასუხისმგებლობა პროგრამის დიზაინსა და პროგრამის კომპონენტების კრედიტებზე აკისრია ოფიციალურ ორგანოს (ფაკულტეტის და აკადემიურ საბჭოს). საბოლოო პასუხისმგებლობა სწავლა-სწავლების და შეფასების ფორმებზე და დროში მათ განაწილებაზე დელეგირებულია ფაკულტეტის დეკანიდან პროგრამის პერსონალზე და პროგრამის ხელმძღვანელზე;
- სტუდენტის დატვირთვის კრედიტებში გაანგარიშებისთვის აუცილებელია შესასწავლი მასალის სირთულის განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია კითხვარების გამოყენება იმის შესამოწმებლად, შეუძლია თუ არა სტუდენტებს განსაზღვრულ დროში დადგენილი სამუშაოს შესრულება;
- სტუდენტს გადაწყვეტი რთლი აკისრია მონიტორინგის პროცესში, რათა შეფასდეს რამდენად რეალურია განსაზღვრული სასწავლო დატვირთვა, თუმცა მონიტორინგი ასევე პროგრამის პერსონალის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენს;
- კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროგრამის პერსონალთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას;
- სტუდენტის დატვირთვის შეფასების მიზნით შესაძლებელია შემდეგი ფორმის გამოყენება, რომელიც ემსახურება პროგრამის კომპონენტის სწორ დაგეგმვას, მოიცავს სასწავლო კურსის/მოდულის შესწავლაზე დახარჯულ რეალურ დროს და დატვირთვის კორექტულობის შემოწმების საშუალებას იძლევა;
- ცხრილის პირველ 2 ნაწილს (რუბრიკები: „აქტივობები“ და „ლექტორი“) ავსებს სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორი/განმახორციელებელი, სადაც უთითებს შესაბამის აქტივობებს, თითოეულისთვის განკუთვნილ და შესასრულებელი აქტივობების შესრულებისთვის სავარაუდო დროს (სთ);
- ცხრილის მე-3 ნაწილს (რუბრიკა „სტუდენტი“) ავსებენ სტუდენტები და უთითებენ ამა თუ იმ აქტივობის შესრულებისთვის/მომზადებისთვის რეალურად საჭირო/დახარჯულ როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის დროს (სთ) - ცხრილში მოცემული რაოდენობები წარმოადგენს სტუდენტების მიერ მითითებული მონაცემების საშუალოარითმეტიკულ სიდიდეს;

*დატვირთვის განაწილების სისწორის შემოწმება (ნიმუში)*

აქტივობები	ლექტორი			სტუდენტი		
	რაოდენობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო (სთ)	სულ სთ	რაოდენობა	სტუდენტის რეალური სამუშაო დრო (სთ)	სულ სთ
<b>სწავლების აქტივობა</b>						
ლექცია	15	1	15	15	1	15

<sup>12</sup> არჩევითი კურსის ერთეული - სასწავლო კურსი/მოდული/პროგრამის სხვა კომპონენტი, რომლის არჩევაც შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში, მაგრამ სავალდებულო არაა ყველა სტუდენტისთვის. ზოგიერთ სისტემებში განსხვავებულ არჩევით (კურსის ერთეულები, რომელთა არჩევაც ხდება წინასწარ განსაზღვრული სიდიდან) და აბსოლუტურად თავისუფალ კურსის ერთეულებს (წყარო: თუნინგის ტერმინების ლექსიკონი).

სემინარი	15	1	15	15	1	15
ჯგუფში მუშაობა	-	-	0	-	-	0
პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა	-	-	0	-	-	0
...	-	-	0	-	-	0
<b>სწავლის აქტივობა</b>						
საშინაო დავალება	10	1	10	10	1.5	15
პროექტი	-	-	0	-	-	0
შესასწავლი მასალის წაკითხვა	15	1	15	15	2	30
დისკუსიისთვის მომზადება	-	-	0	-	-	0
პრეზენტაციის მომზადება	-	-	0	2	9	18
...	-	-	0	-	-	0
<b>შეფასება</b>						
მიმდინარე (სემესტრული) შეფასებები	8	1	8	8	0.5	4
შუალედური გამოცდა	2	3	6	2	5	10
...	-	-	0	-	-	0
დასკვნითი შეფასება	2	3	6	2	6	12
სულ:	67		75	67		119
			75 სთ ; 25 სთ = 3 კრედიტი		119 სთ : 25 სთ = 4,76 = 5 კრედიტი	

13. მოქმედი პროგრამის შემთხვევაში ცხრილს სტუდენტები და სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორი/განმახორციელებელი ავსებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მონაცემების შედარება და ანალიზს ერთობლივად ახორციელებენ სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორი/განმახორციელებელი და პროგრამის ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას უზრუნველყოფს სასწავლო კურსის ავტორი;

14. ახალი სასწავლო კურსის შემთხვევაში დატვირთვას (საათებს და კრედიტს) განსაზღვრავს სილაბუსის ავტორი. შემოწმება, შეფასება და დაზუსტება ხდება სასწავლო კურსის განხორციელების პირველივე სემესტრის განმავლობაში.

**მუხლი 13. სწავლების და სწავლის მეთოდები<sup>13</sup>**

1. სწავლების მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია განათლების მიღების ფორმაზე (დასწრებული სწავლება, დისტანციური სწავლება და ა.შ.). ჩამოყალიბდა შემდეგი ჩამონათვალი:

- სემინარი (სწავლება მცირე ჯგუფებში);
  - კონსულტაცია (ტუტორიალი);
  - კვლევითი სემინარი;
  - სავარჯიშოების (პრაქტიკული) კურსი;
  - აუდიტორიაში მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობა (ვორქშოპი);
  - პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობა;
  - ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობა;
  - სადემონსტრაციო კლასები (პრეზენტაციები);
  - პრაქტიკა (ინტერნშიპი);
  - სამუშაო და/ან სავსე პრაქტიკა;
  - დისტანციური სწავლება, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე მიმდინარეობს.
2. სწავლების ტექნიკაში შეიძლება იყოს გამოყენებული:
- რელევანტური მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;
  - რელევანტური მასალის, ტექსტების წაკითხვა, ლიტერატურის მიმოხილვა;
  - მიმდინარე საჭიროებებისთვის ყველაზე რელევანტური მასალის/ინფორმაციის/მონაცემების შერჩევა, ანალიზი, შეჯამება;
  - ტექნიკური, ლაბორატორიული ან/და პროფესიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება;
  - მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება, სტატიების/ანგარიშების/ნაშრომების წერა მზარდი სირთულით (მასალის მოცულობისა და სირთულის შესაბამისად);
  - პრობლემების განსაზღვრა და ასევე მათი გადაჭრა,
  - პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ჩართულობა.
  - სხვა სტუდენტებთან ერთად მუშაობა, მაგ., პრობლემების გადაჭრისა და ამის შესახებ ანგარიშის მომზადების მიზნით;
  - ჯგუფის გაძღოლა ან მისი ეფექტიანი წევრობა;
  - სემინარებში (შეხვედრებში) მონაწილეობა და/ან მათი გაძღოლა;
  - სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა, სხვების მიერ კრიტიკის გათვალისწინება;
  - საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
  - ზეპირი პრეზენტაციის მომზადება და ჩატარება ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად;
  - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა ფორმით მონაცემების/სხვ. შესახებ კომუნიკაცია.

**მუხლი 14. სტუდენტის შეფასების მეთოდები<sup>14</sup>**

1. სტუდენტის შეფასება<sup>15</sup> არის სწავლისა და სწავლების პროცესის ცენტრალური ელემენტი. თუნინგის მეთოდში აღწერილი

<sup>13</sup> წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process).

<sup>14</sup> წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process).

<sup>15</sup> სტუდენტის შეფასება - სტუდენტის წარმატების შესამოწმებლად პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა. ეს მეთოდები ჩვეულებრივად მოიცავს წერით, ზეპირ, ლაბორატორიულ/პრაქტიკულ ტესტებს/გამოცდებს, პროექტის ან პორტფოლიოს. შეფასება შეიძლება გამოიყენოს თვით სტუდენტმა საკუთარი წარმატების შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად - მაგორმირებული შეფასება; ან უსდ-მ იმის

პროგრამების უმეტესობა იყენებს შეფასების ფორმების ფართო სპექტრს, მაგ.: ტესტი (ცოდნის ან უნარების შესაფასებლად); ზეპირი პრეზენტაცია; ლაბორატორიული სამუშაოს ანგარიში; ტექსტის მონაცემების ანალიზი; პრაქტიკის, ლაბორატორიული მუშაობის დროს დაკვირვება; სამუშაო პრაქტიკის ანგარიში ან დღიური; პრაქტიკის ანგარიშები; ესე ან აგნარიში ან მათი ნაწილი მაგ., რელევანტური ლიტერატურის წერილობითი მიმოხილვა, განსხვავებული კვლევითი სტატიის კრიტიკა;

2. შეფასების ყველა მეთოდისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტს მიეწოდოს ინფორმაცია შეფასების სისტემის და კრიტერიუმების<sup>16</sup> შესახებ. ამ ტიპის შეფასება ეწოდება მათარსობრივ (formative), რადგანაც სტუდენტი სწავლობს როგორც სამუშაოს შესრულების დროს, ასევე ლექტორის კომენტარებიდანაც, რომელიც მიუთითებს რამდენად კარგად შეასრულა მან სამუშაო და როგორ უნდა გამოასწოროს შეცდომები;

3. რიგ შემთხვევაში დავალებებს როგორც მათარსობრივი, ასევე შემაჯამებელი ფუნქცია აქვთ. შემაჯამებელი შეფასების ჩვეულ ფორმას წარმოადგენს გამოცდა, რომელიც შეიძლება იყოს წერითი, ასევე ზეპირი:

- წერითი გამოცდა სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს, მაგ.: ესე; კითხვები მრავალჯერადი არჩევანით; პრობლემის გადაჭრა; სიტუაციური/ტექსტის მონაცემების ანალიზი; ლიტერატურის მიმოხილვა და/ან სხვ;
- ზეპირი გამოცდა ასევე სხვადასხვა ფორმისა და შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: 1) ზეპირი გამოკითხვა; 2) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

4. ნაშრომი (საბაკალავრო/სამაგისტრო) - კომპლექსური შეფასების მაგალითია. ეს არის პროგრამის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის შემაჯამებელი შეფასება, რომელიც გულისხმობს კომპეტენციების ფართო სპექტრის დემონსტრირებას. მას მათარსობრივი ფუნქცია კარგად ქვს გამოხატული. იგი, როგორც წესი, მზადდება ლექტორის ზედამხედველობით და სტუდენტის სამუშაოს სხვადასხვა ეტაპზე დებულობს უკუგებას მისგან. შემაჯამებელი გამოცდა შეიძლება იყოს წერითი ან ზეპირი. საბოლოო გამოცდა ყოველთვის ზეპირი ფორმით მიმდინარეობს - ნაშრომის დაცვა. შეფასება სტუდენტის მიერ შესრულებულ წერით ნამუშევარს ეყრდნობა;

5. შეფასების ყველა ფორმას დიაგნოსტიკური დანიშნულება აქვს როგორც ლექტორისთვის, ასევე სტუდენტისთვის;

6. ევროპულ ინსტრუქციაში (Standards and Guidelines for Quality Assurance in European Higher Education. Area #1.3) აღნიშნულია, რომ სტუდენტის შეფასების პროცედურები უნდა:

- შეიქმნას სწავლის სასურველი შედეგებისა და პროგრამის სხვა ამოცანების მიღწევის ხარისხის გაზომვისათვის;
- შეესაბამებოდეს საკუთარ დანიშნულებას, იქნება ეს დიაგნოსტიკა, ფორმირება თუ შეჯამება;
- ჰქონდეს ნიშნის (ქულის) დაწერის მკაფიო კრიტერიუმები;
- უნდა წარმოებდეს იმ ადამიანების მიერ, ვისაც ეს შეფასების არსი, ვინც იცის სასურველი კვალიფიკაციის სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. სადაც შესაძლებელია, არ ეყრდნობოდეს ერთი გამომცდელის აზრს.

### მუხლი 15. სტატისტიკური მონაცემების გამოყენება პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაში

1. ბნსუ-ში პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სასწავლო პროცესის მონიტორინგის, გამოკითხვის, გასაუბრების და მოსაზრებების შესწავლის შედეგები, მაგალითად:

- პროგრამის პერსონალი აფასებენ სასწავლო პროცესს, პროგრამას და სხვ.;
- სტუდენტები აფასებენ პროგრამის პერსონალს, პროგრამას და სასწავლო პროცესს;
- პოტენციური დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები აფასებენ პროგრამის აქტუალობას, შინაარსს, მიზნებს და დაგეგმილ შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას და სხვ.;
- დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორების დადგენის მიზნით ხდება კურსდამთავრებულთა მოსაზრებების შესწავლა;

2. მონიტორინგის შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების, წინადადებების და რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება სრულყოფის/გაუმჯობესების მექანიზმები

3. პროგრამის შეფასებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა ინდიკატორები, მათი დანიშნულებაა პროგრამის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით. ინდიკატორთა ნაწილის გამოყენება შესაძლებელია პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე, ნაწილის კი - პროგრამის განხორციელების პროცესში, მაგალითად:

- პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
- პროგრამაზე ჩარიცხვის დინამიკა (სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამაზე მოხილვით გადმოსული და მოხილვით გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამაზე ჩარიცხულთა და პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამის დასაქმებული კურსდამთავრებულების საერთო რაოდენობა (წლების მიხედვით);
- პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომების GPA-ს/ქულის საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი;
- სპეციალობით დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამის განმახორციელებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა, შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებელთა მიერ მათთან დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციების დონის შეფასება და სხვ.;
- პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების გამოკითხვების და შეფასებების ანალიზი;
- პროგრამის შეფასება SWOT-ანალიზის მეშვეობით.

4. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც არსებული ვითარების გაუმჯობესების, ისე პროგრამის განვითარების მიზნით.

დასადაგენად, მიაღწეოთ თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგებს კურსის ერთეულის/პროგრამის კომპონენტის ფარგლებში - შემაჯამებელი შეფასება (წყარო: თუნინგის ტერმინების ლექსიკონი).

<sup>16</sup> შეფასების კრიტერიუმები - იმის აღწერა თუ რა უნდა გააკეთოს და რა დონეზე სტუდენტმა, რათა მოახდინოს თავისი სწავლის შედეგებისა და წარმატებების დონის დემონსტრირება. კრიტერიუმები მითითებულია კურსის ერთეულის სილაბუსებში/სხვ. (წყარო: თუნინგის ტერმინების ლექსიკონი).


ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	11-20

**მუხლი 16. ხარისხის გაუმჯობესება პროგრამის დონეზე: თუნინგის მიდგომა და მეთოდოლოგია<sup>17</sup>**

1. თუნინგის მოდელი პროგრამის განვითარებისათვის შემდეგ საკვანძო ელემენტებს მოიცავს:

- **საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა** - პროგრამის განხორციელების წინაპირობაა რესურსების ხელმისაწვდომობა. ამ რესურსების ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს პროგრამის ხარისხზე. რესურსებში მოიაზრება პროგრამის (აკადემიური, მოწვეული) პერსონალი, დამხმარე პერსონალი და საგანმანათლებლო გარემო (პრაქტიკის აუცილებლობის შემთხვევაში - პრაქტიკის ჩატარების ადგილიც და ზედამხედველები). ძალიან მნიშვნელოვანია სწავლისა და კვლევის მატერიალურტექნიკური ბაზა. ყველაფერ ამას პერმანენტული მონიტორინგი სჭირდება;
- **პროგრამის განხორციელების საჭიროება (რელივანტურ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესში უნდა გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება)** - უნდა ჩატარდეს კონსულტაციები, რომლებიც არა მხოლოდ აკადემიურ საზოგადოებას, არამედ პროფესიონალებსა და პროფესიულ ორგანოებს, დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს უნდა მოიცავდეს. ამ ჯგუფს განმსაზღვრელი როლი აქვს აკადემიური ათვლის წერტილის <sup>18</sup>განსაზღვრისათვის, თუმცა საბოლოოდ იგივე პერსონალი (აკადემიური, მოწვეული) პასუხისმგებელია პროგრამაზე, მან უნდა გაითვალისწინოს განსაზღვრული ათვლის წერტილები და პერსონალის კომპეტენცია, ორიენტაცია და ხელმისაწვდომობა. ასევე, უნდა არსებობდეს მაკოორდინირებელი სტრუქტურები, რომელიც უზრუნველყოფენ პროგრამის ერთიანობას და შედეგებათ საჭირო ცვლილებების შემდეგ ფორმულირებით, რაც თავის მხრივ, ზოგადი და ტრანსფერული კომპეტენციების ფორმაციაში უნდა განხორციელდეს. კურიკულუმის დიზაინი და სტუდენტთა შეფასება უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის პროფილს.
- **აკადემიური ხარისხის პროფილი** - თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის პროფილი - მიზნები და დანიშნულება - კარგად უნდა იქნეს აღწერილი. შემდგომში სიცხადის შეტანა პროგრამაში ხდება ამ მიზნების მოსალოდნელი სწავლის შედეგებით (რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან რისი გაკეთება უნდა შეძლოს კურსდამთავრებულმა პროგრამის დასრულების შემდეგ) ფორმულირებით, რაც თავის მხრივ, ზოგადი და ტრანსფერული კომპეტენციების ფორმაციაში უნდა განხორციელდეს. კურიკულუმის დიზაინი და სტუდენტთა შეფასება უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის პროფილს.
- **კურიკულუმის შემუშავება** - პროცესი უნდა ითვალისწინებდეს აკადემიურ შინაარსს და დონეს. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ უმადლესი განათლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დამოუკიდებლად სწავლის ხელშეწყობა, რაც გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების მეთოდებზე და სტუდენტის სასწავლო დატვირთვაზე, რომელიც ECTS კრედიტებით გამოიხატება. კურიკულუმი ძალიან არ უნდა გადატვირთოს სტუდენტები გადაჭარბებული მოცულობის შინაარსით. კურიკულუმის შემუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, მოქალაქეობრივი ასპექტები, აკადემიური და ინტელექტუალური განვითარება;
- **პროგრამის შეფასება** - უნდა ჩამოყალიბდეს შეფასების სქემა თითოეული პროგრამის მონიტორინგისა და განხილვისათვის. მონიტორინგის პროცესი გულისხმობს ძირითადი ინდიკატორები - აკადემიური მოსწრება, კურსდამთავრებულთა დასაქმება, კონკურსი პროგრამაზე, კითხვარებზე პასუხი, პარტნიორი დაწესებულებების აზრი და ა.შ. - სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებასა და ანალიზს. ანალიზის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. უნდა ამოქმედდეს სხვადასხვა ტიპის უკუკითხვისა და წინმსწრები ინფორმაციის მექანიზმი. ამან უნდა მოიცავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები და აკადემიური პერსონალი - უნდა არსებობდეს სტუდენტთა გამოკითხვის და ამ ინფორმაციის დამუშავების მექანიზმები. უკუკითხვის მექანიზმების დანიშნულებაა კურიკულუმის დიზაინსა და/ან განხორციელებაში არსებული ხარვეზების გასწორება, ხოლო წინმსწრები ინფორმაციის მიღებით უნდა განისაზღვროს მოლოდინები, რაც შემდგომ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ პროგრამა სამუშაო პრაქტიკას საჭიროებს, მაშინ ინფორმაცია უნდა მივიღოთ ასევე იმ დაწესებულებებიდან, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიან და რომელიც შეესაბამება მათ მომავალ დასაქმებას.

5. პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების პრინციპები თუნინგის პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა როგორც „ხარისხის განვითარების დინამიური წრე“:



<sup>17</sup> წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process).

<sup>18</sup> ათვლის წერტილი - არადირექტული ინდიკატორი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ერთმანეთს საგანმანათლებლო პროგრამები დარგობრივ დონეზე (წყარო: თუნინგის ტერმინების ლექსიკონი).

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	12-20

6. თუნინგის მიდგომით ინდივიდუალური კურსები არა ცალ-ცალკე, არამედ მთელი პროგრამის კონტექსტში უნდა შეფასდეს. კურიკულუმის შეფასებისას 3 ძირითადი მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული:

- საგანმანათლებლო პროცესი:
  - აკადემიური ხარისხის პროფილი (პროგრამის მიზნები);
  - სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
  - პროგრამის სტრუქტურა და პროგრამის ეკემენტების თანმიმდევრობა;
  - პროგრამის ერთიანობა;
  - სასწავლო დატვირთვის განაწილება სემესტრებსა და აკადემიურ წლებზე;
  - პროგრამის ვარგისიანობა;
  - სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები;
  - კავშირი განათლების წინა საფეხურთან;
  - საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტთა მოზილობა.
- განათლების შედეგი:
  - სტუდენტთა რაოდენობა, განთესვა და სხვა პროგრამებზე გადასვლა;
  - პირველი და მეორე საფეხურის შედეგები;
  - დასაქმება.
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გარემო (რესურსები):
  - სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები;
  - პერსონალი და მატერიალური რესურსები;
  - სტუდენტთა მხარდაჭერა/სერვისები: სტუდენტთა კონსულტანტები/ტუტორები.

ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები მითითებულია „კურიკულუმის შემოწმების ფორმაში“, რომელიც ემყარება 14 ძირითად ფაქტორს, რომლითაც სიტუაცია აღიწერება. პროგრამის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და გაუმჯობესებისათვის შესაძლებელია შემოწმების ფორმის (იხ. დანართი #2) გამოყენება „ძირითადი კითხვების ჩამონათვალთან“ (იხ. დანართი #1) ერთად.

**მუხლი 17. SWOT ანალიზი როგორც ხარისხის გაზრდის მექანიზმი**

1. SWOT-ანალიზი არის შეფასების და სწორი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ასახავს ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს, საფრთხეებსა და რისკებს გარე ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით და შეიძლება იყოს გამოყენებული პროგრამების შეფასების და შემდგომი განვითარების მიზნით.

ძლიერი მხარეები (Strengths)	სუსტი მხარეები (Weaknesses)
შესაძლებლობები (Opportunities)	საფრთხეები, რისკები (Threats)

2. პროგრამების მიმართებაში SWOT ანალიზის მიზანია გაეცეს პასუხი ისეთ შეკითხვებზე, როგორცაა მაგ.: იყენებს თუ არა ბნსუ ძლიერ მხარეებს პროგრამის განვითარებისთვის; არის თუ არა არსებული სუსტი მხარეები პროგრამის კონკურენტუნარიანობის, წარმატებული განხორციელებისა და ხარისხის ხელისშემშლელი ასპექტები; რა საფრთხეები არსებობს; რა გარემოებები შეუწყობს ხელს პროგრამის განვითარებას არსებული შესაძლებლობების გამოყენების შედეგად და სხვ.

3. შესაძლებელია SWOT ანალიზის ელემენტების კომბინაციის მაგ., შემდეგნაირი გამოყენება:


- „შესაძლებლობები - ძლიერი მხარეები (უპირატესობები)“ - განსაზღვრავს არსებული უპირატესობების შემდგომი გაძლიერებისა და განვითარების სტრატეგიას;
- „შესაძლებლობები - სუსტი მხარეები (ნაკლოვანებები)“ - განსაზღვრავს არსებული სუსტი მხარეების აღმოფხვრის სტრატეგიას;
- „საფრთხეები - სუსტი მხარეები (ნაკლოვანებები)“ - განაპირობებს განვითარების სტრატეგიის შესაძლო შეზღუდვებს და შემაფერხებელ გარემოებებს;
- „საფრთხეები - ძლიერი მხარეები (უპირატესობები)“ - განაპირობებს განვითარების პოტენციური უპირატესობების განსაზღვრის სტრატეგიას.

4. ობიექტური შეფასების შესაძლებლობას უზრუნველყოფს ორი წლის SWOT-ანალიზების შედარება: ორი SWOT ანალიზის შედარებით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა როგორ განვითარდა და საერთოდ განვითარდა თუ არა პროგრამა, რა პრობლემები იყო გადაჭრილი და რა ახალი პრობლემები ან რისკები გაჩნდა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ.;


5. ყოველწლიურ SWOT-ანალიზს საფუძვლად უდევს წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შესწავლის (გამოკითხვა/შეხვედრები/რეკომენდაციები/სხვ.) შედეგები;

6. პროგრამის ყოველწლიურ SWOT-ანალიზს ადგენს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც SWOT ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია არსებული დადებითი/ძლიერი მხარეების შენარჩუნება და გაუმჯობესება, სუსტი მხარეების აღმოფხვრა/მინიმუმამდე დაყვანა, არსებული შესაძლებლობების გამოყენება, შესაძლო საფრთხეების სწორად შეფასება და შესაძლო რისკების მინიმუმამდე დაყვანა. პროგრამის შეფასებას და SWOT ანალიზს პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.


**მუხლი 18. ISO 9001:2015 და მუდმივი გაუმჯობესების ციკლი (PDCA) როგორც ხარისხის გაზრდის მექანიზმი**



ძირითადი დოკუმენტი: „უმადლეის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №01			
ნდ №2-030101- 01	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 12.01.2023	13-20



პროგრამის სასიცოცხლო ციკლის პროცესებში და პროცედურებში PDCA-ს გამოყენების ბლოკ-სქემა:



**მუხლი 19. \_\_თუნინგის ძირითადი კითხვების ჩამონათვალი პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შენარჩუნებისა და შეფასებისათვის ბოლონის რეფორმის ფარგლებში<sup>19</sup>**

**1. პროგრამის დიზაინი**

ასპექტი	ძირითადი კითხვები
აკადემიური ხარისხის პროფილი	<ul style="list-style-type: none"> <li>- მკაფიოდ არის თუ არა განსაზღვრული ახალი პროგრამის შემუშავების საჭიროება და პოტენციალი?</li> <li>- აკმაყოფილებს თუ არა პროგრამის მიზანი ახალ პროფესიულ და/ან საზოგადოებრივ მოთხოვნებს?</li> <li>- ჩატარდა თუ არა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან? დაადასტურეს თუ არა მათ ახალი პროგრამის საჭიროება?</li> <li>- რამდენად ადეკვატური იყო კონსულტაციების დროს გამოყენებული მიდგომა? რამდენად შესაბამისი იყო დაინტერესებულ მხარეთა შერჩევა კონსულტაციის პროცესისათვის?</li> <li>- რამდენად გასაგებია პროფილის დეფინიცია, სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა და პროგრამის ადგილი ნაციონალურ და საერთაშორისო კონტექსტში?</li> <li>- რამდენად დასაბუთებულია მოლოდინი, რომ აკადემიური ხარისხის აღიარება იქნება მომავალში დასაქმების კონტექსტში? რამდენად შეესაბამება ის სპეციფიკურ პროფესიულ თუ საზოგადოებრივ კონტექსტს?</li> <li>- რამდენად რთულია პროგრამის პროფილი პერსონალისა და სტუდენტებისთვის?</li> <li>- გაცნობიერებულია თუ არა საგანმანათლებლო კონტექსტი, რომელშიც პროგრამაა შეთავაზებული</li> </ul>
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> <li>- რამდენად მკაფიოდ და ადეკვატურად იქნა განსაზღვრული სწავლის შედეგები მთელი პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტებისათვის?</li> <li>- რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგების პროგრამის განსაზღვრულ პროფილს? რამდენად ადეკვატურია მათი გადანიშნულება პროგრამის სხვადასხვა ნაწილებზე?</li> <li>- რამდენად გარანტირებულია პროგრამისა და მისი ნაწილების პროგრესი და თანმიმდევრულობა?</li> <li>- ჩამოყალიბებულია თუ არა სწავლის შედეგების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმატში და გამოხატავს თუ არა ცოდნას, გაცნობიერებას, უნარებს, შესაძლებლობებსა და ღირებულებებს?</li> <li>- რა გარანტიები არსებობს სწავლის შედეგების აღიარებისა და გაგებისათვის ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ?</li> </ul>
კომპეტენციები	<ul style="list-style-type: none"> <li>- რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული და ფორმულირებული სტუდენტის მიერ გამოსამუშავებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები?</li> <li>- რამდენად შეესაბამება კომპეტენციების დონე სპეციფიკურ პროგრამას?</li> <li>- იძლევა თუ არა კომპეტენციების აღწერის ფორმატი მათი გაზომვის/შეფასების საშუალებას?</li> <li>- რამდენად გარანტირებულია პროგრესი კომპეტენციების განვითარების პროცესში?</li> <li>- რამდენად შესაძლებელია კომპეტენციების ადეკვატური შეფასება? რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული კომპეტენციების შეფასების მეთოდიკა და რამდენად ადეკვატურად ასახავს ის დასახულ სწავლის შედეგებს?</li> <li>- რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული კომპეტენციების სწავლისა და სწავლების მიდგომები? რის მიხედვით ვმსჯელობთ, რომ შედეგი მიღწევადია?</li> <li>- რამდენად ინოვაციური/კრეატიული და განსხვავებულია არჩეული მიდგომები?</li> <li>- რამდენად თავსებადია და შესადადარისა კომპეტენციები მოცემულ დარგობრივ სფეროში არსებულ ევროპულ ათვლის წერტილებთან?</li> </ul>
დონე	<ul style="list-style-type: none"> <li>- სწავლის საჭიროებების განსაზღვრისას რამდენად იქნა გათვალისწინებული პოტენციური სტუდენტების დონე?</li> <li>- რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების დონე კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოში განსაზღვრულ დონეს/აკადემიურ საფეხურს?</li> <li>- თუ ქვედონეები გათვალისწინებულია, აღწერილია თუ არა ისინი კომპეტენციების ფორმატში?</li> <li>- აღწერილია თუ არა დონეები: ა) ცოდნის, გაცნობიერების, უნარების და შესაძლებლობების ფორმატში; ბ) პრაქტიკაში ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების გამოყენების ფორმატში; გ) ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ფორმატში; დ) ცოდნისა და გაცნობიერების კომპლექსის ფორმატში; ე) სწავლის შემდგომი გაგრძელების ფორმატში?</li> </ul>
კრედიტები და სასწავლო დატვირთვა	<ul style="list-style-type: none"> <li>- გამოყენებულია თუ არა პროგრამაში ECTS-ის კრედიტები? ეთანხმება თუ არა ECTS-ის ძირითად მახასიათებლებს?</li> <li>- განაწილებულია თუ არა კრედიტები პროგრამაში? რამდენად და როგორაა კრედიტების განაწილების ადეკვატურობა უზრუნველყოფილი?</li> <li>- როგორია კავშირი კრედიტებსა და სწავლის შედეგებს შორის?</li> <li>- როგორ მოწმდება კორელაცია დატვირთვისა და კრედიტების განაწილებას შორის?</li> <li>- როგორაა უზრუნველყოფილი დაბალანსებული სასწავლო დატვირთვა თითოეული სასწავლო პერიოდისათვის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კონტექსტში?</li> <li>- რა მექანიზმები გამოიყენება კრედიტების განაწილების შემოწმებისათვის? რამდენად და როგორ არიან სტუდენტები ამ პროცესში ჩართულები?</li> </ul>

<sup>19</sup> წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process)



	<ul style="list-style-type: none"> <li>- არის თუ არა ECTS-ის გზამკვლევი პროგრამის (კრედიტებისა და მოდულების) შესახებ ინფორმაცია მოცემული?</li> <li>- როგორ არის წახალისებული პროგრამაში სტუდენტთა მობილობა?</li> <li>- როგორ იღებენ სტუდენტები კონსულტაციას მობილობის შესახებ?</li> <li>- რამდენად გამოიყენება ECTS-ის ძირითადი დოკუმენტები სტუდენტთა მობილობისთვის?</li> <li>- ვინაა პასუხისმგებელი ცნობის/აღიარების პროცედურებზე და ცნობის აღიარების რომელი პროცედურები გამოიყენება?</li> </ul>
რესურსები	<ul style="list-style-type: none"> <li>- როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამისა და რესურსების ფორმალური მხარე?</li> <li>- როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და დამხმარე პერსონალის კომპლექტაცია? საჭიროებს თუ არა პროგრამა სხვა ინსტიტუტებიდან/დაწესებულებებიდან ლექტორების მოწვევას?</li> <li>- რამდენადაა გათვალისწინებული პერსონალის განვითარება სწავლის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების მხრივ?</li> <li>- როგორაა უზრუნველყოფილი საჭირო სტრუქტურული, ფინანსური და ტექნიკური რესურსები (აუდიტორიები, აღჭურვილობა, უსაფრთხოების პროცედურები და ა.შ.)?</li> <li>- სამუშაო პრაქტიკის შემთხვევაში, როგორაა უზრუნველყოფილი სანდო და შესაბამისი პრაქტიკის განხორციელების ადგილი?</li> </ul>

**2 პროგრამის მიწოდება, შენახვა და შეფასება**

ასპექტი	ძირითადი კითხვები
მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>- როგორ ხორციელდება პროგრამისა და მისი კომპონენტების მიწოდების ხარისხის მონიტორინგი?</li> <li>- როგორ ხორციელდება პროგრამის პერსონალის ხარისხისა და მოტივაციის მონიტორინგი?</li> <li>- არსებობს თუ არა საგანმანათლებლო გარემოს/პრაქტიკის განხორციელების ადგილის შეფასების სისტემა?</li> <li>- შესაბამეა თუ არა აუდიტორიები და აღჭურვილობა პროგრამის მიწოდებას?</li> <li>- როგორ მოწოდება სტუდენტების დონე პროგრამაზე მოხვედრისას?</li> <li>- როგორ მოწოდება სტუდენტების მოსწრება მიღწეული სწავლის შედეგებთან მიმართებაში და პროგრამისა და მისი კომპონენტების შესწავლისათვის საჭირო დროის კონტექსტში?</li> <li>- როგორ მოწოდება კურსდამთავრებულთა დასაქმება?</li> <li>- როგორ არის ორგანიზებული კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა?</li> <li>- გროვდება თუ არა ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესახებ?</li> </ul>
განახლება	<ul style="list-style-type: none"> <li>- როგორაა ორგანიზებული პროგრამის განახლებისა და შემოწმების სისტემა?</li> <li>- როგორ აისახება საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები პროგრამაში?</li> <li>- როგორ მიმართებაშია აკადემიური პერსონალის განვითარება დაკავშირებული პროგრამის განახლების ორგანიზაციასთან?</li> </ul>
მდგრადობა და ინფორმაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>- რამდენად არის უზრუნველყოფილი ინფორმაციის განახლება პროგრამის ორგანიზაციის შესახებ?</li> <li>- როგორაა უზრუნველყოფილი სტუდენტთა მხარდაჭერისა და კონსულტაციების/ტუტორინგის სისტემა?</li> <li>- გაიცემა თუ არა დიპლომის დანართი სტუდენტებისთვის ავტომატურად და უფასოდ ევროპაში ფართოდ გამოყენებულ ენაზე?</li> </ul>

**მუხლი 20. თუნინგის კურიკულუმის შემოწმების ფორმა<sup>20</sup>**

**1. საგანმანათლებლო პროცესი**

ასპექტი	კომენტარი
1. საგანმანათლებლო პროცესი	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წინაპირობები:</b> აკადემიურ პროგრამას მკაფიოდ განსაზღვრული პროფილი აქვს, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიური ხარისხის მოთხოვნებს შეესაბამება, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების მოლოდინებს, უზრუნველყოფს რა შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის დასაქმებას.</li> <li>• <b>კითხვები:</b> რამდენად ეჩვენებს ხელით არსებული მონაცემები, ემთხვევა თუ არა პროგრამის პროფილი განსაზღვრულ მოთხოვნებს? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?</li> </ul>
2. სწავლის შედეგები და კომპეტენციები	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წინაპირობები:</b> აკადემიურ პროგრამას მკაფიოდ ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები აქვს, რომელიც პროგრამის პროფილს ასახავს. სწავლის შედეგები აღწერილია კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა, გაცნობიერება, უნარები).</li> <li>• <b>კითხვები:</b> რამდენად შეესაბამება პროგრამის პროფილს დასახული სწავლის შედეგები და კომპეტენციები? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?</li> </ul>

<sup>20</sup> წყარო: Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process)



<p>3. პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგები და კომპეტენციები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის საშუალოდ 5 სწავლის შედეგია ფორმულირებული, რომელიც ცალსახად შეესაბამება მთელი პროგრამის სწავლის შედეგებს და მათ გამოუმუშავებს ხელს უწყობს. სწავლის შედეგები აღწერილია კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა, გაცნობიერება, უნარები).</li> <li><b>კითხვები:</b> აღწერილია თუ არა სწავლის შედეგები მკაფიოდ საგნის/მოდულის სილაბუსებში და საჭიროების შემთხვევაში რამდენადაა განმარტებული? რამდენადაა გასაგები მახასიათებლებიდან, რომ დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციების გავარჯიშება ხორციელდება? არის თუ არა მითითებული კომპეტენციების რომელი დონეა მისაღწევი?</li> </ul>
<p>4. პროგრამის სტრუქტურა და ცალკეული კომპონენტების თანმიმდევრობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> კურიკულუმი ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფილია მთელი პროგრამის კოჰერენტულობა მის სხვადასხვა ფაზასა და სხვადასხვა კომპონენტებს შორის. მუდმივი პროგრესი უზრუნველყოფილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების მხრივ ცოდნის, გაცნობიერებისა და უნარების გათვალისწინებით.</li> <li><b>კითხვები:</b> რამდენად ცხადია პრაქტიკაში, რომ პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს კოჰერენტულობას და დასახული კომპეტენციების პროგრესულ განვითარებას? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?</li> </ul>
<p>5. სასწავლო დატვირთვის განაწილება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> პროგრამა ისეა სტრუქტურირებული, რომ კარგად დაბალანსებული სასწავლო დატვირთვა მის ყველა კომპონენტზეა გადანაწილებული როგორც სემესტრების, ისე აკადემიური წლების მიხედვით. პროგრამის კომპონენტებისათვის გაანგარიშებული დატვირთვა შეესაბამება საშუალო სტუდენტისათვის იმ დროს, რომელიც ის დასახული მიზნების მიღწევას ანდომებს.</li> <li><b>კითხვები:</b> რამდენადაა ნაჩვენები პრაქტიკაში, რომ სასწავლო დატვირთვა ზემოთ აღნიშნული პრინციპების მიხედვითაა გადანაწილებული? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?</li> </ul>
<p>6. პროგრამის დამღვეის შესაძლებლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> პროგრამა ისეა ორგანიზებული, რომ მისი დამღვეა (განსაზღვრულ დროში პროგრამის მიზნების მიღწევა) შესაძლებელია საშუალო სტუდენტისთვის. ეს გულისხმობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების კარგ კომბინაციას, პროგრამის კომპონენტების თავსებადობასა და აკადემიური პერსონალის მხრიდან საკმარის ყურადღებას.</li> <li><b>კითხვები:</b> რამდენადაა უზრუნველყოფილი და გაწონასწორებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?</li> </ul>
<p>7. სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> გამოიყენება სწავლის, სწავლებისა და შეფასების განსხვავებული მეთოდები, რომლებიც შერჩეულია დასახული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევისათვის ადეკვატურობის შესაბამისად.</li> <li><b>კითხვები:</b> რამდენად უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი ინფორმაცია, კერძოდ, საგანმანათლებლო და შეფასების რეგულაციები, კურსის სილაბუსები, ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?</li> </ul>
<p>8. კავშირი განათლების წინა საფეხურთან</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ ის სტუდენტთა სასტარტო დონეს ითვალისწინებს. პროგრამისთვის გასათვალისწინებელია კავშირი განათლების წინა საფეხურის პროგრამასთან.</li> <li><b>კითხვები:</b> რამდენად უზრუნველყოფილია ზემოთ აღნიშნული კავშირების დაცვა, რომ სტუდენტის წინა კვალიფიკაცია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგ საფეხურზე განათლების გაგრძელებისათვის? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?</li> </ul>
<p>9. საერთაშორისო თანამშრომლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> არსებობს კოოპერაცია უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ეს თანამშრომლობა შეიძლება ერთობლივი აკადემიური პროგრამის ან სტუდენტთა მობილობის ფორმატში გამოიხატოს. სტუდენტთა მობილობისას მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი აღიარებული უნდა იყოს.</li> <li><b>კითხვები:</b> რამდენად უზრუნველყოფილია, რომ სტუდენტი არ ჩამორჩება თუ მან პროგრამის ნაწილი უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტში გაიარა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სტუდენტი თავად არის პასუხისმგებელი (მაგ., თუ პროგრამა კონსულტაციის გარეშე ან გათვალისწინების გარეშე აირჩია, ან ვერ დამოკიდებოდა პროგრამის კომპონენტებზე)? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?</li> </ul>

2. განათლების შედეგი

ასპექტი	კომენტარი
<p>10. პირველი და მეორე საფეხურების (რეალი-ზებული) შედეგები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> ფაკულტეტი შემდეგი მიზნების მიღწევას ცდილობს: კონტროლს ექვემდებარება პროგრამის დამღვის მაჩვენებელი (ხდება სამიზნე ნიშნუების დადგენა, მიღწეული მაჩვენებლების შესწავლა და დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება, ცდომილებებზე რეაგირება დაახალი სამიზნე ნიშნულების დადგენა). ბაკალავრიატის პროგრამის დაწყებიდან 4 წელიწადში, მაგისტრატურის პროგრამის დაწყებიდან - 2 წელიწადში.</li> <li><b>კითხვები:</b> მართლაც მიიღწევა დასახული პროცენტული მაჩვენებლები? თუ არა, რატომ? რა შეთავაზებებია გაუმჯობესებისათვის?</li> </ul>
<p>11. დასაქმება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>წინაპირობები:</b> პროგრამა ამართლებს საზოგადოების მოლოდინებს, რაც იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ შრომის ბაზარზე დასაქმება ძირითადად კარგია.</li> <li><b>კითხვები:</b> პოულობენ თუ არა კურსდამთავრებულები სწავლის დასრულების შემდეგ დროის</li> </ul>

	მისაღებ პერიოდში მათი კვალიფიკაციისა და პროფილის შესაბამის სამსახურს?
--	---

**3. განათლების შედეგი**

ასპექტი	კომენტარი
12. სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წინაპირობები:</b> არსებობს საკმარისი სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის.</li> <li>• <b>კითხვები:</b> არსებობს თუ არა რესურსების ნაკლებობა პროგრამის განხორციელების დროს?</li> </ul>
13. პერსონალის და მატერიალური რესურსები	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წინაპირობები:</b> პროგრამის განხორციელებისთვის საკმარისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პერსონალის ხელმისაწვდომი როგორც პედაგოგიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალიდან. თითოეული პროგრამა/სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფილია პროგრამისათვის საჭირო რესურსებით (მოწვეული ლექტორები, მასალები, ა.შ.).</li> <li>• <b>კითხვები:</b> რამდენად საკმარისია ეს რესურსები პრაქტიკაში?</li> </ul>
14. სტუდენტთა მხარდაჭერა/ სერვისი: სტუდენტთა კონსულტანტები/ტუტორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>წინაპირობები:</b> არსებობს და მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა.</li> <li>• <b>კითხვები:</b> რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს ის სტუდენტთა მოთხოვნებს?</li> </ul>

**მუხლი 21. დანართები**

1. წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე შინაგანაწესის საფუძველზე.

**მუხლი 22. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/მათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში

